აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს თემატური მოკვლევა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების ღია მმართველობის შეფასება

თემატური მოკვლევის მიზანი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოებში ღია მმართველობის კუთხით არსებული ვითარების შეფასება

კითხვარი დაინტერესებული პირების მიერ საკუთარი პოზიციების წარმოსადგენად

ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა, დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი	აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი; ს.კ. 245538333
შემსრულებლის სახელი, გვარი და პოზიცია	მალხაზ ბოლქვაძე, იურიდიული სამსახურის უფროსი
მისამართი	ჯავახიშვილის ქ. #72ა
ტელ.	557447070
ელ-ფოსტა	malkhazbolkvadze73@gmail.com
ინფორმაციის ჩაბარების ბოლო ვადა	21 თებერვალი, 2023 წ.
საკონტაქტო ინფორმაცია	ღია მმართველობის საბჭოს სამდივნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი მალვინა ჯიბლაძე - 577032104 +995(0) 32 228 54 85 malvina.jibladze@sca.ge
ძირითადი მოთხოვნები	

საბჭო იწვევს დაინტერესებულ მხარეებს (რეგიონის აღმასრულებელ ორგანოებს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს) წერილობითი ფორმით წარმოადგინონ დოკუმენტურად გამყარებულისაკუთარი პოზიციები მოკვლევის საგანთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი პოზიცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ტექნიკურ პირობებს:

- ფაილი არ უნდა აღემატებოდეს 25 MB-ს;
- ფაილი უნდა იყოს მხოლოდ WORD-ის ფორმატში;
- ტექსტის სიდიდე თითოეულ კითხვაზე უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 500 სიტყვას;

- ყველა ინფორმაცია უნდა იქნეს მოქცეული ერთ ფაილში, მათ შორის დანართები, დამატებითი ინფორმაცია, ფოტოები, მასალები და ა.შ.
- წერილობით დასაბუთებულ მოსაზრებაში კარგად უნდა ირკვეოდეს ავტორის/მომხსენებლის ვინაობა: (მოსაზრების შედგენის თარიღი, ავტორის/მომხსენებლის საკონტაქტო ინფორმაცია - ელ-ფოსტა, ტელ. ნომერი);
- დასაბუთებული მოსაზრების დასაწყისში საჭიროა მოკლე რეზიუმე წინამდებარე ტექსტის შესახებ;
- აუცილებელია ტექსტის დასაწყისში მოკლედ იყოს წარმოდგენილი პოტენციური მომხსენებლის შესახებ:
  - იურიდიული პირის შემთხვევაში - ორგანიზაციული ფორმა, ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი, საქმიანობის სფერო.
  - ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი, გვარი, პირადი ნომერი და საქმიანობის სფერო.
- არ არის აუცილებელი ჯგუფის მიერ დასმულ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. შეგიძლიათ პასუხი/პასუხები წარმოადგინოთ მხოლოდ იმ კითხვა/კითხვებზე, რომლებზეც დასაბუთებული მოსაზრებები გაგაჩნიათ. დასაბუთებული მოსაზრების გამოგზავნისას, აუცილებლად მიუთითეთ ის კითხვა, რომელსაც პასუხობს თქვენი მოსაზრება;
- ტექსტში მოცემული უნდა იყოს დეტალური ფაქტობრივი მონაცემები, რომელიც სამუშაო ჯგუფს მისცემს შესაძლებლობას გააკეთოს სწორი ანალიზი/დასკვნა.
- ტექსტში ასევე შესაძლოა იყოს ცალკეული რეკომენდაციები და შეხედულებები.

წარმოდგენილი პოზიცია უნდა პასუხობდეს შემდეგშეკითხვებს:

1. რა მექანიზმები ან საშუალებები აქვს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოებს (შემდგომში, აღმასრულებელ ორგანოებს) ინსტიტუციური ღიაობისთვის?

დეპარტამენტი საკუთარი ვებ გვერდის (ajararoads.ge) მეშვეობით ახორციელებს ინფორმაციის გავრცელებას. ვებ გვერდზე განთავსებულია ძირითადი ინფორმაცია საქმიანობების მიმართულებების მიხედვით. მითითებულია ელ. ფოსტა (info@ajararoads.ge), რომლის მეშვეობით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გამოითხოვოს როგორც ინფორმაცია, ასევე მიიღოს პასუხები შეკითხვებზე.

ყოველთვიურად, სულ ცოტა თვეში ორჯერ, დეპარტამენტის ხელმძღვანელობა (უფროსი, მოადგილეები) და სპეციალისტები უშუალოდ მონაწილეობენ ავტონომიური რესპუბლიკის ხუთივე მუნიციპალიტეტის (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი და ხულო) ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მიერ მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრებში. მუნიციპალიტეტების მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა უშუალოდ დეპარტამენტთან დაამყაროს ურთიერთობა და მოითხოვოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებში ჩართულობა.

Facebook-ზე დეპარტამენტს აქვს საკუთარი გვერდი, სადაც ყოველდღიურად შუქდება მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია. შეუფერხებლად ხდება ისეთი მასალების განთავსება, რომელიც შეეხება სტიქიურ მოვლენებს და მის ლიკვიდაციას. Facebook-ის საშუალებით ხდება მოსახლეობასთან კომუნიკაცია მიმოწერის მეშვეობით.

2. როგორია აღმასრულებელი ორგანოების გამჭვირვალობის ხარისხი შიდა და მესამე მხარეების შეფასებების მიხედვით (კვლევები, ინდექსები, შეფასების ანგარიშები, რეიტინგები თუ სხვა)?

შეფასებების მიხედვით დეპარტამენტი არ არის გამორჩეული.

3. რა შიდა პოლიტიკის თუ სტრატეგიული დოკუმენტები მოქმედებს აღმასრულებელ უწყებებში ღია მმართველობის, გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობის საკითხებზე? რა კონკრეტულ გზებს ან საშუალებებს ითვალისწინებს ისინი ამ მიმართულებებით?

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - დეპარტამენტის უფროსის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი (იურიდიული სამსახურის უფროსი), რომელიც აწვდის შესაბამის ინფორმაციას დაინტერესებულ პირებს.

4. როგორია აღმასრულებელი ორგანოების ვებგვერდების მდგომარეობა - რამდენად ითვალისწინებს ისინი ღია მმართველობის საკითხებს? არის თუ არა ვებგვერდებზე ჩართულობის ონლაინ მექანიზმები და როგორია ისინი?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დეპარტამენტის ვებ გვერდზე (ajararoads.ge) განთავსებულია ყოველდღიური ინფორმაცია (ნიუსი ფოტო და ვიდეო მასალებით), მონაცემები დეპარტამენტის შესახებ (ისტორია, დებულება და ა.შ.), ბიუჯეტი, საქმიანობასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმატიული აქტები, საჯარო ინფორმაცია და საკონტაქტო მონაცემები.

ნებისმიერ მსურველთან ვებ გვერდით ხორციელდება ონლაინ მიმოწერა (უკუკავშირი).

5. როგორია საზოგადოების ჩართულობის ხარისხი? რამდენად იყენებს საზოგადოება ონლაინ პლატფორმებს ორგანოებთან ურთიერთობისთვის, რა პლატფორმებია ამისთვის (ვებგვერდი, სპეციალური გვერდები, აპლიკაციები, ა.შ.)

საზოგადეობის ჩართულობის ხარისხი უფრო მაღალია facebook-ზე, ვიდრე დეპარტამენტის ვებ გვერდზე. ონლაინ ჩართულობა ძირითადად ხდება facebook-ის მეშვეობით.

6. როგორია ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების გამოცდილება?

a. რა ინფორმაცია ქვეყნდება ვებგვერდებზე და რა პერიოდულობით ხდება მისი განახლება

ვებ გვერდზე ქვეყნდება ყოველდღიური ინფორმაცია (ნიუსი, ფოტო და ვიდეო მასალებით), მონაცემები დეპარტამენტის შესახებ (ისტორია, დებულება და ა.შ.), ბიუჯეტი, საქმიანობასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმატიული აქტები, საჯარო ინფორმაცია და საკონტაქტო მონაცემები.

b. ინფორმაციის რა ნაწილია წაკითხვად ფორმატში (machine-readable[1])?

სამართლებრივი აქტები არის pdf ფორმატში (დებულება, ადგილობრივი

მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხა და ა.შ.)

c. რამდენად ჩაშლილია ინფორმაცია (მაგალითად, გენდერულ, ასაკობრივ თუ სხვა თვალსაზრისით)?

ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია მოიცავს სამსახურში დასაქმებულ პირთა ოდენობას კატეგორიების მითითებით გენდერულ ჭრილში.

7. როგორია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აღმასრულებელ ორგანოებში?

a. გამოთხოვილი ინფორმაციის სტატისტიკა - მოქალაქეების და იურიდიული პირების მიხედვით გამიჯნული

სტატისტიკა ქვეყნდება ყოველწლიურ ანგარიშში, რომელსაც დეპარტამენტი აგზავნის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში".
2018 წელს გაცემული იქნა 26 საჯარო ინფორმაცია; 2019 წელს - 15; 2020 წელს - 6; 2021 წელს - 4; 2022 წელს -3.

b. ინფორმაციის გამოთხოვაზე პასუხების სტატისტიკა - მოქალაქეების და იურიდიული პირების მიხედვით გამიჯნული, პასუხის მიწოდების ვადების მითითებით

პასუხების გაცემა დაინტერესებული პირებისათვის ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში (ინფორმაცია, რომელიც მოითხოვს დამუშავებას მიეწოდება 10 კალენდარული დღის ვადაში). ფიზიკური და იურიდიული პირების მიხედვით ინფორმაციის გამიჯვნა არ წარმოებს.

c. განმარტება და დასაბუთება ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევებზე.

ინფორმაციის გაცემაზე უარი არ ყოფილა.

8. როგორ არის უზრუნველყოფილი საზოგადოების ჩართულობა აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში?

a. ჩართულობის კონკრეტული მაგალითები
მუნიციპალიტეტების სოფლებში მთავრობის თავმჯდომარე და ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ყოველთვიურად (თვეში რამდენჯერმე) ხვდებიან ადგილობრივ მოსახელობას, სადაც ჩართულია ასევე დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და მყარდება უშუალო კავშირი მოქალაქეებთან და კომპეტენციის ფარგლებში განიხილება უშუალოდ თითოეული დასახლების საგზაო ინფრასტრუქტურის საკითხები.

b. საჯარო შეხვედრების, განხილვების, დისკუსიების ან სხვა ღონისძიებების სტატისტიკა - მათზე დამსწრე პირების მითითებით, სადაც გამიჯნულია დამსწრე/მონაწილე საჯარო დაწესებულების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და მოქალაქეების რაოდენობის შესახებ ინფორმაციები.
საჯარო შეხვედრების სიხშირისა და ინტენსიურობიდან გამომდინარე დეპარტამენტი არ აწარმოებს მის სტატისტიკას.

c. ამ ჩართულობის მაგალითებს რა ცვლილებები მოჰყვა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისთვის (რა შეიცვალა უწყების საქმიანობაში, შესაბამის დოკუმენტში ან სხვა საქმიანობაში, რისთვისაც გამიზნული იყო ჩართულობა)?
როგორც წესი, ჩართულობის შედეგად, დეპარტამენტი ახორციელებს ინფრასტრუქტურული პროექტების საბიუჯეტო პროგრამებში და ქვეპროგრამებში, შესაბამისი ღონისძიებების სახით შეტანას.

d. აწარმოა თუ არა ორგანომ უკუკავშირი რაიმე ფორმით? მათ შორის, დაასაბუთა თუ არა ცვლილებები ან ცვლილებების შეტანაზე უარი? დეპარტამენტი თავისი მუნიციპალური განყოფილებების მეშვეობით მუდმივად ამყარებს კავშირს (მათ შორის უკუკავშირს) მოსახელეობის იმ ნაწილთან, რომელთაც უშუალოდ ეხებათ განხორციელებული ცვლილებები.

[1] ამ დოკუმენტისა და მოკვლევის მიზნებისათვის machine-readable ფორმატში იგულისხმება დოკუმენტის ნებისმიერი ფორმატი, რომელიც იძლევა დოკუმენტში ინფორმაციის მოძიების, კოპირების და სხვა ფორმით დამუშავების საშუალებას. იმ შემთხვევაში თუ დოკუმენტი იტვირთება PDF ფორმატის სახით, აღნიშნული არ უნდა იყოს დასკანირებული PDF.

9. ბიუჯეტის პროექტის, პრიორიტეტებისა და პროგრამების განხილვის პროცესში როგორია საზოგადოების მონაწილეობის ხარისხი?

a. რამდენი საჯარო შეხვედრა ჩატარებულა?

როგორც წესი, მუნიციპალიტეტებში ტარდება ყოველთვიურად არანაკლებ 2 შეხვედრა.

b. როგორია დასწრების სტატისტიკა, რამდენი იურიდიული პირის წარმომადგენელი (მათ შორის, გამიჯნულად საჯარო უწყებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები) და ფიზიკური პირი ესწრებოდა?

ძირითადად ესწრება ადგილობრივი მოსახლეობა (თვითმმართველობებიდან სოფლის რწმუნებულები). თითოეულ მუნიციპალიტეტში არანაკლებ 50 ფიზიკური პირისა.

c. ბიუჯეტის განხილვაში საზოგადოების მონაწილეობის სხვა რა მექანიზმები გამოიყენება?

ყოველი წლის გზაფხულსა და შემოდგომაზე დეპარტამენტი ატარებს მომავალი წლების პრიორიტეტების პრეზენტაციას, რომელსაც ესწრება საჯარო სექტორი, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, შუქდება მედია საშუალებებით და ინფორმაცია ქვეყნდება ვებ გვერდსა და facebook გვერდზე.

d. როგორია ამ განხილვების შედეგები? რა ინიციატივები გაჟღერდა და რა ცვლილებები მოჰყვა ამ განხილვებს?

როგორც წესი დეპარტამენტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების და საჯარო სექტორის წინადადებებს.

e. აწარმოა თუ არა ორგანომ უკუკავშირი რაიმე ფორმით? მათ შორის, დაასაბუთა თუ არა ცვლილებები ან ცვლილებების შეტანაზე უარი?

წინანადებების გათვალისწინების შემდეგ დეპარტამენტი ახორციელებს პრიორიტეტულ მიმართულებებში შესაბამის ცვლილებებს.

10. თქვენი აზრით, ბიუჯეტის პრიორიტეტების, პროექტისა და პროგრამების შემუშავების პროცესში ჩართულობისთვის, რამდენად გასაგებად და ადვილად ხელმისაწვდომი ფორმით მიეწოდება ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს და ხელს უწყობს თუ არა ინფორმაციის მიწოდების მეთოდები საზოგადოების მონაწილეობას?

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, პროგრამების შემუშავების პროცესში ხდება ყოველთვიური შეხვედრები მოსახლეობასთან მუნიციპალიტეტებში (თვეში სულ ცოტა ორჯერ), ხოლო გაზაფხულსა და შემოდგომაზე ხორციელდება მომავალი წლების პრიორიტეტების პრეზენტაცია.

11. ანგარიშვალდებულების რა ფორმებს იყენებენ აღმსრულებელი ორგანოები?

ვიყენებთ ყველა ზემოთაღნიშნულ ფორმას (ვებ გვერდი, facebook გვერდი, მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრები, პრიორიტეტების საჯარო განხილვები).

12. როგორ შეუძლიათ აღმსრულებელ ორგანოებს გაუმჯობესონ ანგარიშვალდებულება საზოგადოების მიმართ, რა კონკრეტული მეთოდებით?

ჩვენი შეფასებით, ყველაზე ეფექტური მეთოდია მუნიციპალიტეტებში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები.

13. თქვენი მოსაზრებით, რა უნდა გააკეთოს აღმასრულებელმა ორგანოებმა იმისთვის, რომ გაიზარდოს სამოქალაქო ჩართულობა მათ საქმიანობაში? რა უნდა გააკეთოს სხვა პირებმა ამისთვის? დეპარტამენტი, როგორც საჯარო დაწესებულება, აუცილებლად მიიჩნევს მუდმივი და ყოველდღიური კავშირი იქონიოს მუნიციპალიტეტების მოსახლეობასთან.	
დამატებითი კომენტარი:	
ინფორმაციის გაგზავნის თარიღი:	17.02.2023